საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3169-03
21/09/2020

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ორ სასტიპენდიო პოზიციაზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის N 2988-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის კოორდინატორის 2020 წლის 21 სექტემბრის N8628-35 წარდგინებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 21 სექტემბრის N8641-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ორ სასტიპენდიო პოზიციაზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის N 2988-03 ბრძანებაში, კერძოდ ბრძანების მე-2 პუნქტში, საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 27 სექტემბრის 18:00 საათი და დანართი 1 და დანართი 2 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 1-ის და დანართის 2-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტსა და კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერსა და კოორდინატორს;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;
4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია და პირველი და მეორე დანართი განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდსა და შესაბამის სოციალურ ქსელში;
5. კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერსა და კოორდინატორს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული პროცესებისა და ინფორმაციის გავრცელების ადმინისტრირება.
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერს, კოორდინატორს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს - ნინო დობორჯგინიძეს, იურიდიულ სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი